ხელშეკრულება 04

(სახელმწიფო სესყიდვის სესახებ)

ქ. ჭიათურა 10.03. 2016წ.

ერთის მხრივ სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლა (შემდგომში „დამკვეთი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის გოგა მოდებაძის სახით და მეორეს მხრივ ი/მ გელა ბიწაძის სახით შემდგომში „შემსრულებელი"), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს" ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის გზით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია წინამდებარე ხელშეკრულებისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე საკანცელარიო ნივთების მიწოდება(CPV კოდი 22100000, 22800000. 30100000, 35821000, 39830000, 44520000))

მუხლი 2. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 500(ხუთასი) ლარს.

2. მომსახურების გაწევა დასტურდება შემსრულებლის მიერ დამკვეთისათვის წარდგენილი ზედებულის შესაბამისად.

3. დამკვეთი შემსრულებელს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ღირებულებას გადაუხდის უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით შემსრულებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

1. დამკვეთი ვალდებულია:

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვით აუნაზღაუროს მიწოდებული საკანცელარიო ნივთების ღირებულება

2. შემსრულებელი ვალდებულია:

2.1. შემსრულებელი ვალდებულია მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება მიწოდებული საკანცელარიო ნივთების ღირებულების შესაბამისად.

3. დამკვეთი უფლებამოსილია:

3.1. მოითხოვოს შემსრულებლისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული და ხარისხიანი შესრულება;

4. შემსრულებელი უფლებამოსილია:

მოითხოვოს დამკვეთისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული შესრულება.

მუხლი 4. მხარეთა პასუხისმგებლობა

მხარეები პასუხს აგებენ მათ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან არაჯეროვანი შესრულებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 5. ხელშეკრულების მოქმედება

5.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის 2016 წლის 10 მარტიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით

5.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადაა 2016 წლის 10 მარტიდან 2016 წლის 30 ნოემრამდე.

მუხლი 6. ხელშეკრულების შეწყვეტა

1. ხელშეკრულება ავტომატურად წყდება:

1.1. ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო.

1.2. მხარეების ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის შემთხვევაში, თუ მას არ ჰყავს სამართალმემკვიდრე ან უფლებამონაცვლე.

2. მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით, ორმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

მუხლი 7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

1. ხელშეკრულებაში ყოველი ცვლილების შეტანა წარმოადგენს შეთანხმებას და საჭიროებს წერილობით ფორმას, რომელსაც ხელს აწერენ მხარეები.

2. ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 8. დავის გადაწყვეტა

მხარეები ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილ დავებს წყვეტენ ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავების გადასაწყვეტად მიმართავენ სასამართლოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

მუხლი 9. ფორს მაჟორი

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით მეორე მხარისათვის მიყენებული ყოველგვარი ზიანის ანაზღაურებისაგან, თუ ეს გამოწვეულია ფორს-მაჟორული სიტუაციით.

მუხლი 10. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და თითოეული ინახება მხარეებთან.

მხარეთა რეკვიზიტები:

დამკვეთი:	შემსრულებელი:
ჭიათურის მუნიციპალიტეტის ეწერის საჯარო სკოლა მის. ჭიათურა, სოფელი ეწერი საბანკო რეკვიზიტები: ს/ს „ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი LBRTGE22 ს/ვ 215606422 ა/ა - GE85LB0121181956526000 დირექტორი გოგა მოდებაძე (ხელმოწერა)	ი/მ გელა ბიწაძე მის. ჭიათურა საბანკო რეკვიზიტები: ს/ს საქართველოს ბანკი" ბანკის კოდი BAGAGE22 ს/ვ № 54001016971 ა/ა GE58BG0000000121659300 (ხელმოწერა) ი/მ გელა ბიწაძე